



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარისპირა

ბარისპირა (Betonica), მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა.

მრავალწლოვანი, ჩვეულებრივ ფესურიანი ბალახებია, ჩხროსებრ შეკრებილი ყვავილები აქვთ. 15 სახეობა გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიაში.

საქართველოში ბარიდან მაღალმთის სარტყლამდე გავრცელებულია 6 სახეობა. ორი მათგანი ენდემურია: აფხაზური ბ. (B. abchasic), რ-იც იზრდება აფხაზეთის სუბალპ. და ალპ. სარტყლის კირქვიანებზე, და ოსური ბ., (B. ossetica), რ-იც ხარობს მთიულეთსა და ჩრდ. ოსეთის ამავე სარტყელში ღორღიანებზე. საქართვე. სუბალპ. და ალპ. მდელოებზე ჩვეულებრივია მთის ბ. (B. grandiflora); იგი ასპექტის (საერთო ელფერის) შემქმნელი დეკორ. ბალახია, ბ-ს თიქმის ყველა სახეობა დეკორატიულია. ზოგი სამკურნალო მცენარეა, მაგ., სამკურნალო ბ. (B. officinalis), რ-იც ხშირად სარეველაა, ზოგიერთი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ცხიმოვან ზეთებს, ფისებს და სხვ.

მ. სახოკია
